

თავი 22

ფინანსური მართვის მიზნები და გარემო

1. საწარმოს აქვს ნაყიდი გრძელვადიანი ობლიგაცია, აღნიშნული ვალდებულება მიეკუთვნება:
 - ა) დაფინანსების შიგა წყაროებს;
 - ბ) დაფინანსების გარე წყაროებს;
 - გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
2. როცა ბიზნესი ცდილობს იყოს ლიდერი ბაზარზე, ეს ნიშნავს რომ მისი მიზანია განახორციელოს:
 - ა) მაქსიმიზაციის კონცეფცია;
 - ბ) დაკმაყოფილების კონცეფცია;
 - გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
3. კომპანიის ლიდერობის მიღწევა გამოკვლევებისა და განვითარების სფეროში მიეკუთვნება:
 - ა) ფინანსური მიზნებს;
 - ბ) არაფინანსურ მიზნებს;
 - გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
4. იმისთვის რომ გავითვალისწინოთ შემოსავალი ერთ აქციაზე , უნდა ვიცოდეთ:
 - ა) პერიოდის გასანაწილებელი მოგება და გამოშვებული აქციების რაოდენობა;
 - ბ) გამოშვებული აქციების რაოდენობა და აქციების საბაზრო ფასი;
 - გ) პერიოდის გასანაწილებელი მოგება და ერთ აქციაზე გაცემული დივიდენდები.
5. აქციონერთა კეთილდღეობის შეფასება ითვალისწინებს:
 - ა) მხოლოდ კაპიტალის ნაზრდს;
 - ბ) მხოლოდ დივიდენდურ შემოსავლიანობას;
 - გ) ჯამურ შემოსავლიანობას.
6. აქციონერთა და ხელმძღვანელობას შორის ინტერესთა დაცილება შეიძლება მოხდეს:
 - ა) როცა იხილება სხვა საწარმოსთან შერწყმის პერსპექტივა;
 - ბ) მარაგის დაგეგმვის პოლიტიკის შემუშავების დროს;
 - გ) არც ერთი სწორი პასუხი არ არის.
7. მმართველობით ანაზღაურების საქმებს არ მიეკუთვნება:
 - ა) დებიტორების ბრუნვადობაზე დაფუძნებული სქემა;
 - ბ) რეალიზაციის ზრდაზე დაფუძნებული სქემა;
 - გ) აქციების ფასის ცვლილებაზე დაფუძნებული სქემა.
8. დასაბეგრი მოგების მინიმალურ ზღვარზე დაფუძნებული ანაზღაურების სქემის უარყოფითი თვისებაა:
 - ა) აქცენტები გაკეთებულია გრძელვადიანი მოგების ზრდაზე;
 - ბ) დანერგვისა და დაკვირვების სიიოლე;
 - გ) აქცენტები გაკეთებულია მოკლევადიანი მოგების ზრდაზე;

9. აქციების ფასის ცვლილებაზე დამოკიდებული ანაზღაურების სისტემის დადებითი მხარეა:

- ა) გრძელვადიან მომგებიანობაზე ორიენტაცია;
- ბ) აქციების ფასის შემცირება;
- გ) რეალიზაციის დონის მკვეთრი ზრდა.

10. ფინანსური საშუაშალო ინსტიტუტს არ მიეკუთვნება:

- ა) საპენსიო ფონდები;
- ბ) სამშენებლო ფირმები;
- გ) შემნახველი ბანკები.

11. დაფინანსების შიგა წყაროებს მიეკუთვნება:

- ა) საფინანსო ინსტიტუტები;
- ბ) საქმიანობის შედეგად დაგროვილი ნამეტი;
- გ) კერძო პირები.

12. დაფინანსების გარე წყაროებს არ მიეკუთვნება:

- ა) კერძო პირები;
- ბ) საფინანსო ინსტიტუტები;
- გ) აკუმულირებული მოგება.

13. როცა ინვესტორები ყიდის აქციას, იგი სარგებლობს:

- ა) პირველადი ბაზრით;
- ბ) მეორადი ბაზრით;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

14. ფინანსური ბაზრების მეშვეობით ინვესტორებს ეძლევათ შესაძლებლობა რისკი გადაანაწილონ სხვადასხვა საწარმოში ინვესტირების გზით. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს:

- ა) რისკის ცვლილებასთან
- ბ) დივერსიფიკაციასთან;
- გ) ჰეჯირებასთან.

15. არბიტრაჟი იძლევა საშუალებას:

- ა) გააკეთოთ არჩევანი “დაბალი რისკი - დაბალი უკუგება”-სა და “მაღალი რისკი - მაღალი უკუგებას” შორის;
- ბ) ფასიანი ქაღალდები ვიყიდოთ და გავყიდოთ სხვადასხვა ბაზარზე სხვადასხვა ფასით;
- გ) დავდოთ გამაწონასწორებელი ხელშეკრულება რისკის გაბათილების მიზნით.

16. საფონდო ბირჟების არსებობის დადებითი ასპექტებია:

- ა) ადვილია მიაღწიო კოტირებას და გაყიდო შენი აქციები;
- ბ) ხელს უწყობს ახალი სააქციო საზოგადოებების შექმნას;
- გ) ღვინდება აქტივების სამართლიანი ფასი.